ხელშეკრულება №6.2.17.7/10/138
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 15 დეკემბერი 2016 წელი

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის დიმიტრი ორმოცაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „მემო"** (შემდგომში **„მიმწოდებელი"**), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირი **დავით ფარესაშვილის** სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

2. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით გლდანის რაიონში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის 25 ვეტერანისთვის **სხვადასხვა გადამუშავებული ხილის და ხილის წვენების** საჩუქრად შეძენა-მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით და თანდართული ფასების ცხრილით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. **შესყიდვის ობიექტი**

3.1 შესყიდვის ობიექტი: **სხვადასხვა გადამუშავებული ხილის და ხილის წვენების (CPVკოდი 15300000)** შესყიდვა, გლდანის რაიონში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის.

3.2 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ფასი, განისაზღვრება დანართის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება: **381,75 (სამას ოთხმოცდაერთი ლარი და 75 თეთრი) ლარი** დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. **შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით და თანდართული ფასების ცხრილით გათვალისწინებული შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.2 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს მიწოდებიდან მინიმუმ 2(ორი) თვეს.

6. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2016 წლის 27 დეკემბრისა.**

6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ა, გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

6.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

7. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 შემსყიდველის მხრიდან 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:

ზურაბ ქაშიაშვილი- მოქალაქეებზე ზრუნვისა და მომსახურების მიმართულების კურატორი გამგებლის მოადგილე,
მაია ჯაფარიძე- სოციალური განყოფილების უფროსი,
კახა გოგატიშვილი - პროვაიდერების მონიტორინგისა და ზედამხედველობის განყოფილების უფროსი;
ლევან გახოკიძე- სოციალური განყოფილების მთ. სპეციალისტი

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

8.1 შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება.

8.2 ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს არაუმეტეს 2(ორი) კალენდარულ დღეში საკუთარი ხარჯებით მისი შეცვლა.

8.3 საჭიროების შემთხვევაში ინსპექტირების აქტის საფუძველზე შესაძლებელია მიწოდებულ საქონლს ჩაუტარდეს ექსპერტიზა.

8.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების 7.2 პუნქტში მითითებული პირები.

8.5 გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ანგარიშსწორების პირობები

9.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

9.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

9.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის სათანადო წესით გაფორმებიდან 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

9.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

10.2 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ პირობებთან.

10.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

10.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

10.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 3(სამი) პროცენტის ოდენობით.

11.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2 (ნული მთელი, ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,4 (ნული მთელი, ოთხი მეათედი) პროცენტის ოდენობით,

11.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5(ხუთი) პროცენტის ოდენობით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.2 სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

15. დაუძლეველი ძალა

15.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

15.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუწოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიღებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
გლდანის რაიონის გამგეობა	**შპს „მემო“**
მის: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1ბ	იურიდიული მის: ჭყონდიდელის 87;
ს/ კოდი: 209466843	ფაქტობრივი მის: თემქა 9-10 კვარტ. შორის მდებარე
ქ. თბილისი, `სახელმწიფო ხაზინა“	სავაჭრო ცენტრი
კოდი TRESGE22	ბანკი: ს.ს. ''პროკრედიტ ბანკი“
ა/ა GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი MIBGGE22
ტელ: +995 32 2 381 980	ა/ა GE29PC 0493 6001 0000 2368
	ს/ კოდი: 400012295
	ტელ: 595 509 504
	ელ. მისამართი: datoparesashvili@gmail.com
გამგებელი _____ **დიმიტრი ორმოცაძე**	**დირექტორის მ/პ-რი** _____ **დავით ფარესაშვილი**

№6.2.17.7/10/138 ხელშეკრულების დანართი

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება და აღწერილობა	მწარმოებელი ქვეყანა და კომპანია	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამი (ლარი)
1	15332140	ვაშლის ჯემი, მინის ქილაში, 650 გრ.	საქართველო/კულა	ცალი	25	2.85	71.25
2	15332230	კომშის მურაბა, 360 გრ, მინის ქილაში	საქართველო/კულა	ცალი	25	3.90	97.5
3	15321400	ნატურალური ხილის წვენი 1ლ, მუყაოს კოლოფში.	უკრაინა/ოდესის	ცალი	25	1,87	46,75
4	15331466	ზეთისხილი უკურკო შავი, 300 გრ, თუნუქის ქილაში	ესპანეთი/კარრეტილ ლა	ცალი	25	2.15	53.75
5	15332410	ფინიკის ჩირი დაფასოებული 200გრ პაკეტში	საქართველო/iproduct	ცალი	25	4,5	112,5
		სულ ჯამი: სამას ოთხმოცდაერთი ლარი და 75 თეთრი					**381.75**

შემსყიდველი:
გლდანის რაიონის გამგებელი:

დიმიტრი ორმოცაძე

მიმწოდებელი:
შპს „მემო“-ს მ/პირი

დავით ფარესაშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

15 დეკემბერი 2016 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ 2016 წლის „15" დეკემბრის №6.2.17.7/10/138 ხელშეკრულებით გათვალისწინებული დიდი სამამულო ომის ვეტერანებისთვის სხვადასხვა გადამუშავებული ხილის და ხილის წვენების (CPVკოდი 15300000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (შპს „მემო") ინტერესთა კონმფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი:

დ.ორმოცაძე ----------

ხელშეკრულების შესრულებასა და

კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:

ზ. ქაშიაშვილი ----------

მ. ჯაფარიძე ----------

კ. გოგატიშვილი ----------

ლ. გახოკიძე ----------

ხელშეკრულება შეადგინა:

წამყვანი სპეციალისტი შესყიდვების მიმართულებით

თ. გელაშვილი ----------